

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8 2022 წლის 22 ნოემბერი

აბაშა

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.110.016440) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

თავი I. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	18,311.9	13120.3	5821.7	7298.6	15379.2	6476.4	8902.8
გადასახადები	5,886.4	6715.6	0.0	6715.6	8165.0	0.0	8165.0
გრანტები	12,141.2	6061.7	5,821.7	240.0	6646.4	6476.4	170.0
სხვა შემოსავლები	284.3	343.0	0.0	343.0	567.8	0.0	567.8
II. ხარჯები	6,510.3	8242.3	672.2	7570.1	10262.1	788.2	9473.9
შრომის ანაზღაურება	1,751.1	1886.0	0.0	1886.0	2676.4	0.0	2676.4
საქონელი და მომსახურება	804.0	1607.2	628.5	978.7	1885.1	745.0	1140.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	33.2	26.6	0.0	26.6	25.5	0.0	25.5



სუბსიდიები	3,170.1	3897.7	0.0	3897.7	4544.4	0.0	4544.4
გრანტები	3.9	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	650.0	686.6	0.0	686.6	664.1	0.0	664.1
სხვა ხარჯები	98.0	138.2	43.7	94.5	436.6	43.2	393.4
III. საოპერაციო სალდო	11,801.6	4878.0	5149.5	-271.5	5117.1	5688.2	-571.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,208.9	6071.6	5563.5	508.1	6690.8	6052.6	638.2
ზრდა	12,247.1	6089.8	5563.5	526.3	6805.4	6052.6	752.8
კლება	38.2	18.2	0.0	18.2	114.6	0.0	114.6
V. მთლიანი სალდო	-407.3	-1193.6	-414.0	-779.6	-1573.7	-364.4	-1209.3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-407.3	-1245.0	-414.0	-831.0	-1625.7	-364.4	-1261.3
ზრდა	51.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	51.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	458.7	1245.0	414.0	831.0	1625.7	364.4	1261.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	458.7	1245.0	414.0	831.0	1625.7	364.4	1261.3
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	-51.4	0.0	-51.4	-52.0	0.0	-52.0
კლება	0.0	51.4	0.0	51.4	-52.0	0.0	-52.0
საშინაო	0.0	51.4	0.0	51.4	-52.0	0.0	-52.0
სესხები							
სხვა კრედიტორული დავალიანებები							
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა		2022 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	
		სულ	სახელმწიფო	სულ	სახელმწიფო



			ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	18,808.8	14383.5	6235.7	8147.8	17119.5	6840.8	10278.7
შემოსავლები	18,311.9	13120.3	5821.7	7298.6	15379.2	6476.4	8902.8
არაფინანსური აქტივების კლება	38.2	18.2	0.0	18.2	114.6	0.0	114.6
ფინანსური აქტივების კლება	458.7	1,245.0	414.0	831.0	1625.7	364.4	1261.3
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	18,808.8	14383.5	6235.7	8147.8	17119.5	6840.8	10278.7
ხარჯები	6,510.3	8242.3	672.2	7570.1	10262.1	788.2	9473.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,247.1	6089.8	5563.5	526.3	6329.1	5511.3	817.8
ვალდებულებების კლება	51.4	51.4	0.0	51.4	52.0	0.0	52.0
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 15 379.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	18,311.9	13120.3	5821.7	7298.6	15379.2	6476.4	8902.8
გადასახადები	5,886.4	6715.6	0.0	6715.6	8165.0	0.0	8165.0
გრანტები	12,141.2	6061.7	5821.7	240.0	6646.4	6476.4	170.0
სხვა შემოსავლები	284.3	343.0	0.0	343.0	567.8	0.0	567.8

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8 165.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

		2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა



დასახელება	2020 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	5,886.4	6715.6	0.0	6715.6	8165.0	0.0	8165.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	4,803.4	5715.6	0.0	5715.6	6965.0	0.0	6965.0
ქონების გადასახადი	1,083.0	1000.0	0.0	1000.0	1200.0	0.0	1200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	603.7	527.0		527.0	727.0	0.0	727.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	32.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.4	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	316.0	330.0	0.0	330.0	330.0	0.0	330.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	128.4	140.0	0.0	140.0	140.0	0.0	140.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 6 646.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
გრანტები	12,141.2	6061.7	6646.4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	4.4	90.0	
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები			
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	12,136.8	5971.7	6646.4
მიმდინარე ტრანსფერი			619.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	581.5	543.9	619.5
კაპიტალური ტრანსფერი	11,055.3	4927.8	6026.9
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :			
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	500.0	500.0	500.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს **567.8** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	284.3	343.0	567.8
შემოსავლები საკუთრებიდან	134.9	105.0	107.0
პროცენტები	47.0	35.0	49.0
რენტა	87.9	70.0	58.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	54.3	39.0	45.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	43.4	30.0	36.0
სანებართვო მოსაკრებელი	18.9	10.0	14.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23.3	20.0	22.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10.9	9.0	9.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	93.5	199.0	415.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1.6	0.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **10 262.1** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,510.3	8242.3	672.2	7570.1	10262.1	788.2	9473.9
შრომის ანაზღაურება	1,751.1	1886.0	0.0	1886.0	2676.4	0.0	2676.4
საქონელი და მომსახურება	804.0	1607.2	628.5	978.7	1885.1	745.0	1140.1
პროცენტები	33.2	26.6	0.0	26.6	25.5	0.0	25.5
სუბსიდიები	3,170.1	3897.7	0.0	3897.7	4544.4	0.0	4544.4
გრანტები	3.9	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	650.0	686.6	0.0	686.6	664.1	0.0	664.1



სხვა ხარჯები	98.0	138.2	43.7	94.5	436.6	43.2	393.4
--------------	------	-------	------	------	-------	------	-------

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **6 690.8** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **6 805.4** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - **114.6** ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	16.8	239.4	104.8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	16.8	239.4	104.8
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	9.9	209.3	0.0
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	6.9	28.9	104.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	0.0	1.2	0.8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9,846.0	5559.9	6423.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,731.0	2497.7	5411.0
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,623.4	2495.0	5411.0
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	107.6	2.7	0.0
02 02	ბინათმშენებლობა	963.1	808.7	34.9
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	244.5	1724.3	0.0
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	153.8	153.3	453.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	487.0	310.9	177.8
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	6.7	6.0	142.0
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	0.0	0.0	128.4
02 07 02	კეთილმოწყობის ღონისძიებები	6.7	6.0	13.6
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	6.7	6.0	13.6
02 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება			
02 09	ტურიზმი	0.0	0.0	
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	259.9	59.0	205.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	



03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	0.0	0.0	
04 00	განათლება	2,188.8	274.0	262.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება	90.8	45.5	
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	2,096.3	228.5	262.2
04 03	სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების რეაბილიტაცია	1.7	0.0	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	0.0	0.0	
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	0.0	0.0	
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	0.0	
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.0	0.0	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	195.5	16.5	14.7
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება			3.0
06 02 02	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	195.5	16.5	11.7
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	12,247.1	6089.8	6805.4

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	38.2	18.2	114.6
ძირითადი აქტივები	1.9	5.5	30.0
არაწარმოებული აქტივები	36.3	12.7	0.0
მიწა	36.3	12.7	84.6

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,602.3	3225.5	4305.6



7.1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,438.4	3126.5	3995.2
7.1 1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,438.4	3116.5	3980.2
7.1 1 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		10.0	15.0
7.1 6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	84.6	79.0	290.4
7.1 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	79.3	20.0	20.0
7.2	თავდაცვა			
7.2 2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	8,433.3	3236.0	6455.9
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	153.8	153.3	453.0
7.4 21	სოფლის მეურნეობა	153.8	153.3	453.0
7.4 5	ტრანსპორტი	7,772.0	2504.8	5414.6
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,772.0	2504.8	5414.6
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7.4 6	კავშირგაბმულობა			
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები			30.0
7.4 7 3	ტურიზმი			30.0
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	507.5	577.9	558.3
7.5	გარემოს დაცვა	269.9	340.0	369.1
7.5 1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	269.9	340.0	369.1
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა			
7.5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში			
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,420.7	3767.7	1566.7
7.6 1	ბინათმშენებლობა	1,005.6	852.4	106.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
7.6 3	წყალმომარაგება			
7.6 4	გარე განათება	506.1	2138.7	499.6
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ	909.0	776.6	961.1



	მეურნეობაში			
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	561.6	478.3	430.9
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	126.0	155.8	159.2
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	435.6	322.5	271.7
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	895.3	1034.9	1361.0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	290.3	332.0	601.8
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	526.7	614.9	673.2
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	28.3	35.0	32.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	53.0	54.0
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
7.9	განათლება	3,290.2	1919.5	2207.7
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,067.2	1324.5	1581.0
7.9 2	ზოგადი განათლება	2,221.3	595.0	626.7
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება			
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	2,221.3	595.0	626.7
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1.7		
7.10	სოციალური დაცვა	335.5	381.6	422.6
7.10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა			
7.10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.0	1.0	2.0
7.10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	56.3	59.6	60.8
7.10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	206.6	221.7	235.0
7.10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა		1.5	10.0
7.10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7.10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	71.6	97.8	114.8
	სულ	18,808.8	14383.5	17119.5



ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 1 573.7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 5 117.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	11,801.6	4878.0	5117.1
მთლიანი სალდო	- 407.3	- 1193.6	- 1573.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 1 625.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 407.3	- 1245.0	- 1625.7
ზრდა	51.4	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	0.0
სესხები	51.4	0.0	0.0
კლება	458.7	1245.0	1625.7
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	0.0
სესხები	458.7	1245.0	1625.7

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აზაშის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 235.7 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 160.7 ათასი ლარი.

თავი II. აზაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 8 151.0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8151.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5414.6
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	5411.0
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	3.6
02 02	ბინათმშენებლობა	106.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	
02 04	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	453.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	558.3
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	1384.1
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	128.4
02 07 02	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1255.7
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	499.6
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	756.1
02 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	
02 09	ტურიზმი	30.0
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	205.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		5411.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - ავტომანქანების გზის მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 592575 ლარი; ძველი აბაშაში გზის ორმული შეკეთება და წვრილმარცვლოვანი ასფალტო ბეტონის გადაკვრა - 472262 ლარი; სოფ. ძვ. აბაშა N8 ქუჩის შესახვევებით მოწყობა ასფალტო ბეტონით - 565411 ლარი; ქალაქ აბაშაში გამსახურდიას პირველი და მესამე შესახვევის, კოწია კაპანელის ქუჩიდან გამსახურდიას ქუჩამდე გზის ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა - 518906 ლარი; ქალაქ აბაშაში ცანავს ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო ავტომანქანების გზის საფარით - 317507 ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. ნორიოში მდ. აბაშის მიმდებარედ ჭაბურღილთან და სოფ. მარანში საინფორმაციო ცენტრის მიმდებარედ გზის მოწყობა რკ. ბეტონის საფარით - 224472 ლარი; ქ. აბაშაში ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა - 57339 ლარი; სოფელ მარნის N14 N12 გზის ქუჩების ასფალტობეტონის საფარის მოწყობა - 500650 ლარი; სოფ. გაუწყინარში N1 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 307110 ლარი; სოფ. გაუწყინარში ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 431209 ლარი; სოფ. პირველ მასში კუდაეწერში N4 გზის</p>		



	<p>მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 176661 ლარი; სოფ. ნაესაკოვოსა და კოდორის შემადგენელი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - 193124 ლარი; სოფ. ნაესაკოვოში შუაქალაქის უბნიდან იპოდრომამდე გზის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით - 481672 ლარი; სოფ. აბაშისპირის ქუჩა N5-ის მოწყობა ასფალტობეტონის საფარით - 133123 ლარი; სოფ. ქოლობანში N5 (პატარა გეზათი) გზის მოწყობა - 263081 ლარი; ქალაქის აბაშაში გზების ორმული შეკეთება - 23900 ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმულის შეკეთება - 30400 ლარი; ქ. აბაშის ტერიტორიაზე ტროტუარების მოწყობის სამუშაოები - 1600 ლარი; მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები (ერთობლივი ტენდერი) - 40000 ლარი.</p>
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		3.6
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მაღალი ტექნოლოგიური მონაცემების მქონე ჰკვიანი და ზოგადი კამერების მოვლა-შენახვას		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		106.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების და მრავალბინიანი სახლების სარემონტო სამუშაოებს, 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებს, პროგრამის ღონისძიებების დაფინანსება დაგეგმილია სახლმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით;</p> <p>დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების, სოფ. სუჯუნის კულტურის სახლის და ქ. აბაშაში თავისუფლების ქ. N102 ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები - 88596 ლარი; 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით (საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) - 2598 ლარი; ქალაქ აბაშაში თავისუფლების ქუჩა N35 და N70 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოები - 1196 ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლობანში ყავის ჯიხურის მოწყობის სამუშაოები (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი) - 8800 ლარი; აგრეთვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების ახალ აბონენტად მიერთების ღირებულება, ელექტროენერჯის და წყალგაყვანილობის სისტემაში - 4800 ლარი;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილი უსაფრთხო და კომფორტული გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებათვის და სხვა ვიზიტორებისათვის; აღნიშნული პროგრამა განხორციელების შემდეგ გაზრდილი მათი ექსპლუატაციის ვადა, გამართული ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---	------------------------



	02 05	453.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე სარწყავი არხებისა და ხიდე ბოგირების მოწყობა;</p> <p>დაიგეგმოს „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ გამოყოფილი თანხები, კერძოდ:</p> <p>დაიგეგმოს სამიქაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ყურეების უბანში სტიქიის შედეგად მდ. კობზაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები 180.5 (180 472 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ცუდღარზე დაზიანებული ხიდის მოწყობის სამუშაოები 29.7 (29 682 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №125-ის გვერდით შემავალი ჩიხში არსებული მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები 29.3 (29 340 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა №52-ის გვერდით შემავალი ქუჩის მილ-ხიდის მოწყობის სამუშაოები 9.1 (9 121 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს ონტოფოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ნოდელაზე დაზიანებული ხიდის მოწყობის სამუშაოები 26.7 (26 704 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს სეფიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიოს უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდე-ბოგირის მოწყობის სამუშაოები 94.8 (94 837 ლარი) ათასი ლარით; დაიგეგმოს გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გულუხეთში მდ. კობზაზე ამოწმენდის სამუშაოები 29.9 (29 844 ლარი) ათასი ლარით;</p> <p>დადგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით - 11480 ლარი; აზამის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად - 29998 ლარი; ქალაქ აზამში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხებისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - 11492 ლარი.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები და ხიდე-ბოგირები.	

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		558.3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლების მოთხოვნის შესაბამისად;</p> <p>საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N168 განკარგულებით - 30867 ლარი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით - 25401 ლარი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით - 1547 ლარი; საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით - 50000 ლარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		128.4
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა; დაგეგმილია აზამის		



მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის სამუშაოები - 128350 ლარი.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 01		499.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება; <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (ერთ წელში 280.0 ათასი ლარი).</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად, პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02 02		756.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრისა და შემოგარენის გალამაზება, კეთილმოწყობა. გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. სასაფლაოების მოვლა პატრონობა.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება ნარგავების მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება, განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების და გზების ნაპირების გაცეკვითი სამუშაოები. რამდენიმე ეტაპად შეიქმნება და გაითიბება სასაფლაოების ტერიტორიები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		30.0



პროგრამის განმახორციელებელი	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია
მოსალოდნელი შედეგი	ყველა ტურიტული ღირშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და ახალი მდგომარეობის დანერგვა

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		205.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ასევე ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება. შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **369.1** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	369.1
03 01	ქალაქის დასუფთავება	369.1
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა	

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		369.1



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი სპეც ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ნორიო, სამიქაო, მაიდანო, გეხათი, ონტოფო, ძვ/აბაშა, ტყვირი, ნესაკოვო, ქოლოზანი, მარანი, სუჯუნა, ზანათი, წყემი, სეფიეთი შეგროვებული ნარჩენი გადის ქ. სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 3 ნაგავმზიდი სპეც ავტომანქანა.
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ აბაშის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენის გატანა, დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 207.7 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
04 00	განათლება	2207.7
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1581.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	626.7
04 03	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1581.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება		
	მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც ჩარიცხულია 610 აღსაზრდელი, რაც მოიცავს ჩასარიცხ მსურველთა 85%-ს, საძინებელი პირობების უქონლობის გამო 2-3 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება საბავშვო ბაღებში ვერ ხერხდება, კონტიგენტის ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 224 თანამშრომელი; მ.შ 19 საბავშვო ბაღის უფროსი; აღმზრდელ-პედაგოგი და შემცველი 54; აღმზრდელი თანამშემწე 29; მზარეული 26 და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი; 3-6 წლის ასაკის ბავშვთა სრული ჩართვა სკოლამდელ დაწესებულებებში, უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი კვება, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ხორციელდება		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასკოლო მზაობის პროგრამა. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა და რეკომენდაციების შესაბამისად საბავშვო ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა. სამედიცინო ფსიქოლოგოგიური და ლოგოპედური მოსახურეობა, საბავშვო ბაღებში HACCP სისტემის დანერგვა, პერსონალთა ინდივიდუალური კარადებით უზრუნველყოფა. აღმზრდელ-პედაგოგთა სასერთიფიკაციო ტრენინგებში მონაწილეობა. საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;</p> <p>ბავშვთა კვება ძირითადად შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; კვება არის სამჯერადი; სანიტარულ-ჰიგიენური პირობები პასუხობს მოქმედ სტანდარტებს, ს/ბაღები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით, წელიწადში ერთჯერ სწავლის დაწყებამდე ტარდება წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, გაზიფიცირებულია 5 ს/ბაღი, ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით; მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები, სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 610-მდე შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-შეადგენს.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	04 02		626.7
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით თანხით - 364542.08 ლარი;</p> <p>საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით - 262208 ლარი</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა</p>	
მოსალოდნელი შედეგი		გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში და ტრანსპორტით უზრუნველყოფილი მოსწავლეები	

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1 232.6** ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1232.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	473.4
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	365.1
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	103.3
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	5.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	755.2
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	645.6
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	32.0
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	27.6
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	4.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		365.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ სახეობას ესენია: ბჭოკეი (45 ბავშვი), ბრომაული ჭიდაობა (32 ბავშვი), რაგბი (16-18 ბავშვი), მიუდო (16-18 ბავშვი), ჭადრაკი (20 ბავშვი), კრივი (16 ბავშვი), მ/ზოგბურთი (16 ბავშვი) კალათბურთი (16 ბავშვი), ტაეკვონდო (16 ბავშვი), მძლეოსნობა (16 ბავშვი) ნიჩბოსნობა (16 ბავშვი) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 230 ბავშვი; საწვრთნელი პროცესები უტარდებათ 3-4 ჯერ, სპორტის ცენტრში დასაქმებულია 38 ადამიანი, მათ შორის 9 ადმინისტრაციული პერსონალი, 9 ტექნიკური პერსონალი და 13 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვა სპორტის სახეობებში მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთაც.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს რეგულაციების შესაბამისად ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ცენტრის მომსახურებით და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		103.3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ზანა“.		
პროგრამის აღწერა და	ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სკოლისგარეშე		



მიზანი	სპორტულ - გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ჯანსაღი და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა და დამკვიდრება, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება;
მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო შეჯიბრებებზე მაქსიმალური სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზება ამაღლებული სპორტული შედეგების მიღწევა; ჯანსაღი თაობის აღზრდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04		5.0
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პროექტის „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული სასკოლო გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა. ● სპორტის საერთაშორისო დღის (ნაპრილი) აღნიშვნა. ● ოლიმპიური დღის (22 ივნისი) აღნიშვნა. ● ევროპის სპორტის კვირეულში (12-30 სექტემბერი) მონაწილეობა. ● წარმატებული ახალგაზრდების(შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების, სპორტსმენების.) წახალისება. <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია მოსახლეობის ჩართვა სპორტის სახეობებში, წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები; ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებული სპორტსმენები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		645.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, კულტურულ - საგანმანათლებლო - სახელოვნებო სააღმზრდელო საინფორმაციო და შემოქმედებითი საქმიანობა. ამ მიზნით იგეგმება პროგრამები: კულტურის სამსახურის, განათლების განყოფილების სამოქმედო გეგმის, ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის განყოფილების და კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სახის ღონისძიებები: კონცერტები, ფესტივალები, სხვადასხვა სახის თემატური საღამოები, ინტელექტუალური თამაშები, დისკუსიები, ლექციები აქტუალურ თემებზე, გენდერულ საკითხებზე და ბავშვთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის თემებზე. ახალგაზრდული დღეები, ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიციები: 9 აპრილის, 9 მაისის, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, ევროპის დღეებისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენციები, ევროპის მემკვიდრეობის დღეების ჩატარება და მის ფარგლებში კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა. სახალხო ზეიმების: "გულიერობა", "ტირიფობა", "კონსტანტინეობა", "აბაშობა", "გიორგობა" და სხვა. ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ქართული ხალხური სამოსის დღის აღნიშვნა. მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის რესპუბლიკურ კონკურს- ფესტივალებზე. დვაწლმოსილ აბაშელ ხელოვანებთან შეხვედრა; შეხვედრა მწერლებთან, პოეტებთან, პროფესიული დღეების აღნიშვნა; აბაშის განვითარების იდეის მოწყობის ფარგლებში: სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება.</p>		



მიზანი	<p>ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში სხვადასხვა სახისა და თემატიკის ღონისძიებების გამართვა. საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სახის კონკურსებისა და სემინარების ჩატარება. საქართველოს ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატი "ეტალონის"-ს ჩატარება. შემოქმედებით ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სოლო კონცერტების ჩატარება. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის დაგეგმილი და დაუგეგმავი ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა. თეატრის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა კონცერტების, თემატური საღამოების მოწყობა, მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურს - ფესტივალებზე. სისტემატიური ზრუნვა ხელოვნების სკოლაში საგაკვეთილო პროცესებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და შემდგომი ფართოდ გამოყენების მიზნით. მთ. ბიბლიოთეკაში, თემის ბიბლიოთეკებში საინფორმაციო - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, თემატური საღამოების ჩატარება. კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ონლაინ ჩატარება. მუზეუმებში შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, როგორცაა "დამე მუზეუმში" ტურისტული თვალსაზრისით მუზეუმებში და სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. მუნიციპალური ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება. საშობაო საახალწლო ღონისძიებების მოწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებს რეგულაციების შესაბამისად. სრულად არის დაკმაყოფილებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნა. ა(ა)იპ - ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა)</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	05 02 02		32.0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ „საინფორმაციო მაუწყებელი - აბაშის მაცნე“</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია დიდი იყოს გაზეთის როლი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუშაობაში, გაზეთის საშუალებით გაშუქდეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები და კულტურული თუ საზოგადოებრივი საკითხები, ასევე მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფორმაციული პროექტების მიმდინარეობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სხვა კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	05 02 03		27.6
პროგრამის ფარგლებში გახორციელდება შემდეგი პროექტები:	<p>• კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის მოწყობა</p> <p>რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო, შემეცნებითი ღონისძიებებისა, პროექტებისა (პრეზენტაციები, კლასიკური მუსიკის, პოეზიის საღამოები, მინი სპექტაკლები, დისკუსია, შეხვედრები საინტერესო თემებზე და საინტერესო, შემოქმედ ადამიანებთან, ცნობად სახეებთან, ახალგაზრდებთან, გამოფენები, წიგნის განხილვა, საზეიმო ცერემონიები, ლექცია-კონცერტები, ღია, სოლო კონცერტები, ნებისმიერი სახის კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოებები და სხვ.) არ საჭიროებს მასშტაბურ დიდ რიცხოვნებას და მოითხოვს სივრცეს, სადაც მისი გამართვა კომფორტული და მომგებიანი იქნება.</p> <p>კოვიდ პანდემიის პირობებში ღონისძიებების გასამართავად, დახურულთან (საკონცერტო დარბაზები) ერთად, აუცილებლობას წარმოადგენს ალტერნატიული, ღია სივრცეების არსებობა.</p>		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქ. აბაშის ცენტრში, საქართველოს ეროვნულ გმირთა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის რეაბილიტაციული პარკი, არსებული ინფრასტრუქტურა და პარკის შემოგარენი იძლევა მსგავსი სივრცეების მოწყობის საშუალებას. ამ სივრცეებში ღონისძიებების გამართვა შესაძლებელია სხვადასხვა ლოკაციაზე ღონისძიების შინაარსობრივი და თემატური დატვირთვიდან გამომდინარე.</p> <p>პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურულ - საგანმანათლებლო ღია სივრცის აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით უზრუნველყოფა.</p> <p>ღია სივრცე იფუნქციონირებს ღია სივრცეებში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ღონისძიებების ორგანიზების შესახებ არსებული რეკომენდაციების სრული დაცვით ადრე ზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.</p> <p>• მიღწეული წარმატებებისათვის, დამსახურებისათვის, აბაშაში მცხოვრებ ხელოვანთა და კულტურის სფეროს მოღვაწეთა (მათ შორის: სახელოვნებო განათლების პედაგოგთა) დაჯილდოება.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, მუშაობის ახალი, თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა; • აბაშაში მცხოვრებ, მოღვაწე ხელოვან ადამიანთა დეაქლის დაფასება; • ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია. • სახალხო დღესასწაული აბაშობა
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, ხელოვნების და კულტურის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წარმოჩინება; ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	05 02 04	ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;	50.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		რელიგიური ორგანიზაციათა კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.	
მოსალოდნელი შედეგი		ეკლესიის როლის გაძლიერება საზოგადოების ფართო ფენისთვის, მაღალი მორალურ-ზნეობრივი სულისკვეთების ფორმირებაში.	

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	05 03	განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	4.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • „ახალგაზრდული საბჭოს" შექმნა. • შემეცნებით წამახალისებელი ექსკურსიების მოწყობა. 	



- გარემოს დაცვითი ღონისძიებების მოწყობა.
- ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად ახალგაზრდებისათვის ეფექტური წინაპირობის შექმნა, მმართველობის პროცესში მათი ჩართვის მიზნით წარმატებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება
--------------------	---

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **853.5** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	853.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	159.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	159.2
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	271.7
06 02 01	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება	260.0
06 02 02	ამბულატორიების მშენებლობა-რემონტი	11.7
06 03	სოციალური დაცვა	422.6
06 03 01	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	77.0
06 03 02	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა)	30.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა.	21.0
06 03 05	ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა	38.0
06 03 06	სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილი მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	2.5
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.	5.0
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.	10.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა.	35.3
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების	38.0



	პროგრამა.	
06 03 12	დღის ცენტრის შშმ ბავშვთა ტრანსპორტირების მხარაჭერის პროგრამა	0
